დუბლიორთა მატჩი

გუშინ ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა სათდარიგო შემადგენლობების კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ "დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (ქუთაისი).

მატჩი მოიგეს დინამოელებმა - 1:0. ბურთი გაიტანა თავაძემ.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: "დინამო" - მჭედლიძე (გვენცაძე), ლაცაბიძე, პაიკიძე, ხინჩაგაშვილი, არზიანი, ლოგუა, თავაძე (თორღაშვილი), იაშვილი, ფრიდონიშვილი, ჩელებაძე (ბარათაშვილი), მესხი (კუდინოვი); "ტორპედო" - კვერნაძე, ცნობილაძე, რუხაძე, კორღალიძე, უკლება, ბარბაქაძე, ფანჩულიძე, ქვირია (კობიძე), ქემაშვილი, პაიკიძე, შაკიროვი.

"ლელო", 16 მაისი, 1982 წ.